ხუთშაბათი, 31 მაისი 1907 წ.

34.

წელიწადი პირველი — № 117

# ისარი

## ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

### „ისარი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპოპათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ ივნისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 3 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მანეთი მეტი.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. 40 კაპ. ტფილისს გარედ—4 მ. 80 კ., საზღვარ-გარედ—7 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

შაბათს, 2 ივნისს, ველოსიპედთა საზოგადოების ველოდრომზე
(მიხეილის ქუჩა, № 116, „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ)

**ქართველ ქალთა საზოგადოების პროფესიონალურ**

**ს კ ო ლ ი ს**

ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ   გ ა ი მ ა რ თ ე ბ ა

**სეირნობა და ველოსიპედებით გაჯიბრება.**

**იქნება აგრეთვე ლატარია-ალეგრი, კალათებით სირბილი, ბოძზე აცოცება, ლოტო, კეგელმაი, საქანაო და სხვა გასართობი.**

საღამოს 8 საათიდან ლეკური და ევროპიული ცეკვა ინოჩენცის გამგეობით. მოედანი ელექტრონით იქნება განათებული. დაუკრავს სამხედრო მუსიკა და დუდუკი. **დასაწყისი საღამოს 6 საათზე** (3—უ.—2

**ნამდვილი კახური ღვინო**




ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომი. (100—66)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (35)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებ ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—115

ე ქ ი მ ი
**მ. ხ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თგ.)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—119)

ე ქ ი მ ი
**ა. ნ. დიასამიძე**
**ვანება და ვენერიული.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ქ. ქუთაისში
**ექიმი დ. მ. ფანცხავა**
იღებს საბებიო, ქალის და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—12 საათ. საღამოობით 5—7 საათამდე. ქარავან-სარაის ქ., სახლი ადამიასი (25—კვ.—25)

ე ქ ი მ ი
**მ. ვ ა შ ა კ ი ძ ე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—64)

**მასწავლებელ ქალთა საზოგადოება**
(პუშკინის ქუჩა, № 3, საკრედიტო საზოგადოების სახლი)
**მასწავლებელი ქალები** აძლევენ გაკვეთილებს, ასწავლიან ყველა საგანს, ადგილობრივ და ტფილისს გარედ. (15 - 15)

**ლ ა მ ბ ა შ ი ძ ი ს**
**სანატორიუმი**
პატარა-ცემში
ქალ-ვაჟთათვის 8—16 წლამდე.
პირობების გასაგებად ფოსტით უნდა მიმართონ, ბორჯომს ექიმ ვ. ლამბაშიძეს. (25—111—2)

**სამკურნალო**
**ექიმთა საზოგადოებისა**
ტფილისში
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).
მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფების,
**მიხეილ აბაკელია**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.
**ი. ნ. ეგიაზაროვი**: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
**გ. ა. ფანცულაია**: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
**ი. გ. ავალიშვილი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
**მ. პ. კიშიძე**: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
**პ. ა. შეიერი**: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,
**ი. ნ. თუმანოვი**: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:
სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—69;



**ყურადღება!!!**
მშრომელ ქალებსა და აცებს ყოველ დღე 8-დან 1 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების „როსსია“-ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მთავარ ფოსტამტის მეზობლად. ადრესი: Тифлисъ, Троицкая у., д. № 7, по сосѣдству съ главн. почт.-телегр. конторы. (50—73.—26)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**
ექიმი მაჭიუხოვი.
მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—18)

ტფილისი, 31 მაისი.

კიდევ დაიწყო მითქმა-მოთქმა სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შესახებ. ერთ დიდ სახელმწიფოს ელჩს შეუტყობინებია თავის მთავრობისათვის, მემარჯვენეთა ცდამ და აგიტაციამ გასჭრა და სათათბირო სულ მოკლე ხანში იქნება დათხოვნილიო; „ყოვლის მცოდნე“ „ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ სათათბიროს ივნისის პირველ რიცხვებში გარეკავენო; პარიზის გაზეთებს ატყობინებენ, სათათბიროს ათი დღის სიცოცხლე-ღა დარჩაო.

ამ ხმის საფუძვლიანობას ზოგი ნიშნებიც თითქო მოწმობს. ყველამ მიაქცია ყურადღება, მაგალითად, როგორ დაუხვდნენ მაღალ სფერებში მემარჯვენე დეპუტატებს. სწორედ იმ დეპუტატებს, რომელნიც ყოვლის ძალ-ღონით ცდილობენ სათათბიროს დამცირებასა და მოსპობას, დიდი მადლობა უთხრეს „პატრიოტულ მოღვაწეობისათვის“; პირიქით, სათათბიროს თავმჯდომარე წინადებურად „მოწყალედ“ აღარ მიიღეს უკანასკნელად და ბევრი საყვედურიც მოახსენეს თურმე.

რა მოხდა? რამ გამოიწვია უკმაყოფილება? უახლოესი მიზეზი, ჩვენის ფიქრით, ის უნდა იყოს, რომ სათათბირომ დაიწუნა და გააუქმა რამდენიმე კანონი, რომელიც მთავრობამ გამოსცა ძირითად კანონების მე-87 მუხლის ძალით იმ დროს, როცა სათათბირო არ არსებობდა. ეს უკვე გაუქმებული კანონები მაინცა და მაინც დიდმნიშვნელოვანი არაა და იმათთვის მთავრობა ესრე რიგად არ გაჯავრდებოდა; მაგრამ ჯერი მიდგა აგრარულ კანონებზე, რომელნიც იმავ წესით იქმნენ გამოცემულნი და რომელთაც მთავრობა აგრე ადვილად ვერ დასთმობს. კანონი. სათემო მფლობელობის დარღვევის შესახებ ქვაკუთხედია მთავრობის მთელის საგრარო პოლიტიკისა, რომელზედაც რეაქცია დიდ იმედებს ამყარებს; სათათბიროს დიდი უმრავლესობა-კი ამ კანონს მეტად მტრულად უცქერის და დღედღეზე გააუქმებს კიდეც. რადგან სათათბიროს ესეთი დადგენილება უეჭველია და მთავრობა ვერა გზით ვერ გადაათქმევინებს, ადვილად შესაძლებელია გაჰბედონ და კვლავ გარეკონ ურჩი სახალხო წარმომადგენლობა...

მაშასადამე, დაბრკოლება ისევ აგრარულ საკითხის ნიადაგზე ჩნდება, რასაც უტყუარად ამტკიცებს საგრარო მოძრაობის ხელ-ახალი გამწვავება. რუსეთის ყველა კუთხიდან მოდის ცნობა, რომ კვლავ გახშირდა აგრარული უწესოებანი! ზოგან, როგორც მაგალითად კიევის გუბერნიაში, მოძრაობა სტიქიურსა და არა სასურველ მიმართულებას იღებს: გახშირდა მემამულეთა გადაწვა და მკვლელობაც, თავად-აზნაურობა დაშინდა და მის მაგიერ, რომ მოითხოვოს მთავრობისაგან სათათბიროსთან ერთად საჭირო ძირითად რეფორმის მოხდენა, რომელსაც მარტო შეუძლია დაამშვიდოს რუსეთის გლეხობა, კვლავ რეპრესიების გაძლიერებას ითხოვს. მთავრობამ ყური ათხოვა მის ღაღადს და სტოლიპინის პირით გამოაცხადა კიდეც, რომ „სახელმწიფოს მთელის ძალ-ღონით მოსპობილ იქნება მოძრაობაო“. მთავრობის დეკლარაცია აგრარულ საკითხის შესახებ ორ ნაწილისაგან შესდგება: დაპირებულია რეფორმა და ამავე დროს ალთქმულია, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, ძალით მოსპოს ყოველი მოძრაობა, მიმართული ძირითად რეფორმის განხორციელებისაკენ. არც ერთის და არც მეორის ასრულება მთავრობას არ შეუძლია, თუ სათათბირო იარსებებს და ამიტომ უფრო მოსალოდნელი მალე სათათბიროს გარეკვა...

მერე! მერე რა იქნება? კითხულობს ყველა. ყველაფერი თავიდან დაიწყება. გაზეთები უკვე იუწყებიან, რომ მთავრობის სათავეში დურნოვო დადგებაო და ამით უკვე ხასიათდება მომავალი „შინაური პოლიტიკა“: სამხედრო სასამართლოები, დამსჯელი რაზმები, სენატის განმარტებანი, დეპუტატების სამართალში მიცემა და სხვა და სხვა; მეორეს მხრით, უეჭველია შეეცდებიან აგრეთვე საარჩევნო უფლების შეზღუდვასა და შეცვლას. მაგრამ, გამოვა აქედან რამე თუ არა, ეს მთავრობასა და მაღალ სფერებს არ აფიქრებს და არ აწუხებს. ისტორიულმა განგებამ სრულიად წაართვა გონება თვითმპყრობელ ბიუროკრატიას, რომელსაც არ ესმის, საით მიაქანებს დაუძლურებულს სახელმწიფო ნავს. უკანასკნელ წლის ისტორია უტყუარად ამტკიცებს, რომ ბიუროკრატია ვერ მიხვდება, ვერ გაიგებს, რომ მისი საქმე წაგებულია, რომ დროზე დათმობა სჯობია; პირიქით, რაც დრო მიდის, იგი უფრო და უფრო კერპდება და ჯიუტობს; ისტორიული და ფსიხოლოგიური მომენტი უკვე ხელიდან გაუვარდა და ამიერიდან შერიგების მოხდენა შეუძლებელი გახდა. ვერც ახალი საარჩევნო კანონი, ვერც გაძლიერებული რეპრესია ვერ იხსნის რუსეთს კრიზისიდან. კრიზისი და ბრძოლის ხანა გაგრძელდება, სანამ ძველი რეჟიმი საბოლოოდ არ დაუთმობს ადგილს ახალ ცხოვრებას. ისტორიამ გამოსცადა ბიუროკრატია ორის სათათბიროთი, მაგრამ ეგზამენი უნაყოფო გამოვიდა და ახლა სხვა გზას აირჩევს დროის მოთხოვნის ალსასრულებლად.

### განსაცდელი მოსალოდნელია

**შიდა ქართლი.** აგერ სამი თვე სრულდება და ერთი რიგიანი წვიმა არა ღირსებია ქართლსა. ძველ-თესლს გაზაფხულზედ კარგი პირი უჩანდა, გლეხს იმედი ეძლეოდა თავის ნაღვლარს მოიმკიდა; დღესაც იმედი არა აქვს დაკარგული, თუ ამ ორ კვირაში ციდან ნამი გაუჩნდება.

ვიჰე ნაადრად მოასწრო სიმინდის დათესვა, იმას კიდევ არა უშავსრა, თუ ავდარი მიესწრო, ამოსული სიმინდები ითოხნება ალაგ-ალაგ, ბევრი კი დაუთესავი დარჩა ამ გვალვისა გამო. ვისაც სარწყავი ადგილები აქვს, რწყავს და შემდეგ სიმინდს სთესავს.

ქერისა და თავის მოსავალს ნუღარავინ ელის, თუ ასე გასტანა ამ გვალვამ, საქონლის საკვებიც არ მოვა. ერთის სიტყვით, ამ ათ დღეში თუ არ გაავდარდა, ქართლი დაიმშევა და ყველანი განსაცდელში ჩავცვინდებით.

ამ „სამხვთოს“ გადასხდამ ხომ ხალხი გაატყ‌ვა. დედა-კაცები დადიან და გაიძახიან:

> ლაზარ მოდგა კარსაო,
> ლაზარ ბატონიოო,
> მიდგა—მოდგა თაროსაო,
> აბრიალებს თვალებსაო.
> ღმერთო, დაგვნამე, დაგვნამე!
> აღარ გვინდა გოროხიო,
> ღმერთო, მოგვე ტალახიო,
> ცხრილი აგორებულაო,
> წვიმა გაჩქარებულაო.

დადიან გლეხის დედაკაცები ამ ლექსის სიმღერით კარ-და-კარ, თან რომელსამე ხატს დაატარებენ. წინ თეთრი ბაირაღი მიუძღვით, თუმცა წითელი ბაირაღი ჰქონდათ ჩვეულებად, მაგრამ შიშისა გამო ადგილობრივ ადმინისტრაციისა, თეთრი ბაირაღი დააქვთ.

სოფელი არ დარჩენილა, რომ «სამხთო» არ გადაეხადოს, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, თითო სოფელს «სამხთოს» გადასხდა დაუჯდა 45—50 მანეთამდის.

იმერეთიდან, რაჭიდან მოთიან გლეხები, სიმინდში იძლევიან ფუთში მანეთს, პური ფასობს—შვიდ აბაზად. მაგრამ სად არის გასასყიდი!.. Leqatus.

—:—

P. S. წერილი გათავებული მქონდა, რომ ქარიშხალი ამოვარდა, წვიმაც მოჰყვა, ცოტაზანს იწვიმა, პატარა გაგრილდა არე-მარე. თუ ასე წვიმები დაიჭირა, კიდევ იმედია, ეს ერთი წვიმა კი არას იზამს. ბევრს ჭირნახული აკლია, გასასყიდს ვეღარსად შოულობენ. გვალვისა გამო, ვისაც აქვს ისიც აღირ აჩენს.

მინდვრად ბალახი გახმა, სამოვარი აღარ სადაა, ტყესაც ჭია ახვევია, ფოთოლსა სჭამს. L.

—:—

**მველი-სენაკი.** კლდის მწვერვალოზე გამხმარი თავი იძახოდა: «გადამხდა გადასავალი და აწ უარესს მოველიო», და ეს უარესი სწორედ ის იყო, რომ გამლიერებულმა ქარმა იგი აგზნებულ საკირეში გადასტყორცნა. სწორედ ასეთსავე მდგომარეობაშია დღეს აქეთ ხალხი. იგი ათას გვარ გადასახადებით, სასტიკის რეპრესიებით და შარმანდელის მოუსავლობით წელში გაწყვეტილი და დამშეული უარეს შიმშილობის მოლოდინშია: ცამ პირი შეჰკრა და მაისი ისე გადის, რომ დედამიწას ცვარი არა ღირსებია. გვალვისაგან მიწა დასკდა და ბალახი ირუჯება. იშვიათად სადმე შეჰხვდებით აქაიქ საბოსტნე ადგილის ოდენა ნათესს. მთელი საყანე ჭალები გვირილა ბალახითაა მოფენილი და ხალხი სასოწარკეთილებით შეჰყურებს ზეცას. ამ რამდენისამე დღის წინად მახლობელ სოფლებიდან ჩამოასვენეს ხატები საეკლესიო დროშებით და «კირიელეისონის» გალობით, აქ სხვები შეუერთდნენ და გასწიეს მდ. ტეხურისკენ ხატების «გასაბანად», რათა მოვლინებოდა წვიმა და ნამი «ქვეყანასა მას მწყურნებსა». ამაო იყო ყოველივე. ზეცა, როგორც ყოველთვის, სდუმს და ნაცვლად წვიმისა ამ ბოლო დროს აღმოსავლეთის ქარი მოევლინა დაგვალულ სოფელს.

სიმინდის ნაკლებულობის გამო ზოგიერთებს პური დაუთესიათ, ეგებ წულზე მოგვესწროს და მოსავლამდის იოლად წავიდეთო. მაგრამ სასტიკ გვალვის გამო ჯეჯილი ვერ გაზდილა, რიგიანი თავთავი ვერ დაუსხამს და იფშრუკება. შიგა და შიგ, ვისაც მოხერხებული ალაგი ჰქონია და რუც მახლობლად, ყანებს მორწყვა დაუწყიათ, მაგრამ ასეთ ადგილის რიცხვი მცირეა და ანგარიშში ჩასაგდები არაა. მხოლოდ უნდა აღვიაროთ, რომ ეს მაგალითი წასაბაძავია და ძლიერ კარგს იზამდნენ ადგილობრივი გულ შემატკივარნი, რომ ეცდებოდნენ და მდ. ტეხურიდან სარწყავ არხის გამოყვანაზე შეაგულიანებდნენ ხალხს. ეს მით უფრო მოსახერხებელია, რომ მდ. ტეხური აქ ისეთ კალაპოტშია მოთავსებული, საიდანაც არხების გაყვანა და კარგა ბლომა ადგილების მორწყვა ადვილი შესაძლოა. დიდათ, საჭიროა ამაზე იზრუნონ და დღევანდელი განსაცდელი, ბუნებისგან მოვლენილი, შემდეგში სასარგებლოდ გამოიყენონ, თუ არა ხატების «გაბანვა» და მოკლენები რომ ვერაფერს შველიან. ამაში დღეს, ალბად, თვით ხალხიც დარწმუნებული იქნება.

მებაღეობა-მევენახეობას აქეთ მაგრე რიგად არ ეტანება ხალხი, თუმცა უნდა ვთქვათ რომ ის ორიოდ-სამიოდე ვენახი, რომელიც ჩვენ აქ ვნახეთ, საამო შთაბეჭდილებას ახდენს: ვაზი ჩინებულად დასხვილებულა და მსხმოიარობაც კარგი აქვს. საჭიროა, ამ დარგს მეურნეობისას მეტის ყურადღებით მოეპყრან აქაურები; ნიშნებს უკვე ვხედავთ.

მეაბრეშუმეობასაც წელს ხალხი რაღაც ნაკლების ხალისით მოეკიდა; სასტიკმა რეაქციამ ამის ხალისი კი დაუკარგა ხალხს. ადგილობრივ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის გამგეობა ადრე შეეცადა და თავის დროზე მოაწოდა ხალხს საუკეთესო ჯიშის თესლი, მაგრამ მაშინ რაღაც ყრუ ხმების გავლენით ხალხი გულ გრილად მოეკიდა ამ საქმეს და დროით არ შეიძინა იგი. ბოლოს კი გონს მოვიდნენ და გაფაციცებით დაუწყეს ძებნა, მაგრამ გვიან იყო: ამხანაგობამ იმ თავითვე 250 კოლოფიც ძლივს გაასაღა, დამინდა და ახალი აღარ გამოუწერია. ამით ის რგებლეს გარეშე პირებმა და სათუო ღირსების თესლს 3 მან. და მეტადაც ჰყიდდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ბევრი დარჩა უთესლოდ და, მაშასადამე, ამ საშინელ კრიზისის და შიმშილობის დროს ბევრი მოკლებული იქნება იმ სახსარს, რომელსაც მეაბრეშუმეობა აძლევდა.

ასეთია მკრთალი სურათი სამეგრელოს ერთს საუკეთესო ნაწილის აწინდელ მდგომარეობისა. რა უნდა იყოს და რას უნდა მოელოდნენ უმდარეს ნაწილებში,

ხადაც ხალხი ნამდვილ შიმშილობას განიცდის, მიუხედავად მთავრობის აგენტების უარყოფითი განცხადებისა, სადაც ხალხს—ამინდიც რომ იყოს—სათესლეც აღარ მოეძებნება,—თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, მკითხველო. №

---

**ქალ. ახალციხე.** როგორც ყველგან, ჩვენ მხარესაც დიდი გვალვებია. აგერ რამდენი ხანია, წვეთი წვიმა არ გვინახავს; მიწა გაქვავდა, ყანები ერთიან დაიწვა, დათესილი ბოსტნეულობა სულსა ლევს. ნამცეცი ბალახი არსად მოიპოვება და საშინელ მდგომარეობაშია საქონელი. ბზის ფასმა ისე აიწია, რომ პირუტყვის პატრონებს გასაგონადაც ემნელებათ. ერთი კვირაა, ყველა ლოცვითაა გატაცებული, დადის ჯგუფ-ჯგუფად ხალხი, ფეხშიშველი კაცი თუ ქალი, ევედრებიან ზეცას წვიმის გამოგზავნას. ხალხი იძახის: «ღმერთი ალბად გაჯავრებულია ხალხზედ, რადგან იგი (ხალხი) ასე გადირია, რომ უფროსი აღარა სწამს და უწესოებას ახდენს». ზოგიერთი გაქბატონები სარგებლობენ შემთხვევით და სურთ შთააგონონ ყველას ასეთი თავიანთი სისულელე. **ზათუშელი.**

---

**სოფ. მეტეხი** (ქართლი). თითქმის ყოველ ცისმარე დღეს აქედან ზურგზედ ჩამოკიდულ ტყავის გუდით ხალხი დაიარება მახლობლად მყოფ სოფელ ახალქალაქს ქირნახულისა და გამომცხვარ პურის სასყიდლად. ახალქალაქში, როგორც ბაზარ ადგილში, ადგილობრივი გაჭრები ძლივს ასდიან ქირნახულის ზიდვას სხვა და სხვა მხრიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზით. მიმდინარე წლის ზამთრის დასაწყისიდანვე თითქმის მთელ მეტეხის მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში არიან ქირნახულის უქონლობის გამო, რაც გამოიწვია 1906 წლის მეტად მცირე მოსავალმა. ამაზედ უფრო გაჭირვებას მოელის ხალხი შემდეგში ხანგძლივ გვალვის გამოისობით. გაზაფხულის პირში თამამად ამოხულ ნათესებით ცოტა დაიმედებული და წელში გამლილი გლეხი კვლავ მოჰხარა და საგონებელში ჩააგდო უწვიმობამ. როგორც ურწყავ ადგილებში, ისე სარწყავში გვალვამ ნათესი მთლად გააყვითლა და ამოშუშა. აღარაფრის მოსავლის იმედი აღარა აქვს ხალხს. სარწყავ ალაგებს თუმცა რწყავენ, მაგრამ ეს მორწყვა უფრო აფიცხებს და აფუჭებს ნიადაგს. გვალვისავე მიზეზით არსად არის საქონლის სასაძოვრად ბალახიც. მუშა საქონელს ზეგლით უგლეჯავენ. ბალახს ვენახებში და ისე აჭმევენ, მოცადობა-კი საცოდავად დაწრწის აქა-იქა მოუხნავ მიწებში. ამნაირმა გაჭირვებამ კვლავ მოუვლინა ხალხს ძველად ყოფილი კერპთაყვანისმცემლების დრო: ყოველ დღე დიდი და პატარა დადის კარ და კარ და თან დააქვს ტალახით გაკეთებული ეგრედ წოდებული «ლაზარე». **მთაზრელი.**

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**სახ. სათათბიროს სხდომა.** 29 მაისს სხდომა მოხდა გოლოვინის თავმჯდომარეობით. დაამტკიცეს ქ. ყაზანის არჩევნები. მცირე კამათი გამოიწვია საკითხმა, თუ როდის აირჩიონ ამნისტიის შესახებ კანონ-პროექტის განმხილველი კომისია. კენჭი უყარეს. ს.-დემოკრატებმა მონაწილეობა არ მიიღეს. 145 ხმის უმეტესობით 137 ხმის წინააღმდეგ არჩევნები საღამოსთვის გადასდეს.

შემდეგ განაგრძეს კამათი ადგილობრივ სასამართლოს განახლების შესახებ.

მომხსენებელმა იოსებ გესსენმა იუსტიციის მინისტრს პასუხი გასცა და სთქვა, რომ თავი და თავი უთანხმოება სამინისტროსა და კომისიის შორის სააპელაციო ინსტანციის მოწყობის საკითხიაო.

ჩერნოსვიტოვი შეეხო ადათის ხელმძღვანელობას საქმეების გარჩევის დროს. ორატორის აზრით, მოსამართლემ ადათს ხშირად არ უნდა მიჰმართოს ხოლმეო. შემდეგ ორატორი სააპელაციო ინსტანციის ორგანიზაციას შეეხო და განაცხადა, რომ მინისტრის დაჟინებული მოთხოვნილება, რომ მოსამართლეთა კრების თავმჯდომარედ უსათუოდ ოლქის სასამართლოს წევრი იყოსო, იმის მომასწავებელია, რომ მთავრობას სურს სახელმწიფო სამსახურში მყოფმა მოხელემ მოსამართლეების მოქმედებას თვალ-ყური ადევნოსო.

იუსტიციის, მინისტრის ამხანაგმა გასმანმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. იცავდა მთავრობის კანონ-პროექტს.

ხან-ხოისკიმ მოითხოვა, სასამართლოს რეფორმა განაპირა პროვინციებშიაც მოხდესო. ერობის უქონლობამ სასამართლოს განახლებას ხელი არ უნდა შეუშალოსო.

ხასმამედოვმა მოითხოვა ადგილობრივ სასამართლოში ადგილობრივი ენა იხმარებოდეს.

სხდომა 5 საათსა და 50 წუთზე დასრულდა.

საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობდა პოზნანსკი. მიიღეს წინად განხილულ კანონ-პროექტების მოხსენებანი. მიიღეს აგრეთვე ფინანსთა მინისტრის წინადადება 1907 წლისათვის ქალაქის უძრავ ქონებათა გადასახადების შესახებ. სხდომა გათავდა 9 საათსა და 33 წუთზე. შემდეგი სხდომა მოხდება 1 ივნისს.

---

## ქართული ფილარმონია

Музыка есть своего рода языкъ, правда, іероглифическаго, звукообразнаго свойства.

А. Рубинштеинъ.

მუსიკა სარკეა გულისა. რასაც ადამიანის გული ჰგრძნობს, ნაღველს თუ სიხარულს, იმის დაგვარად სცემს მისი ნაღარაც, და მსმენელი, როგორც სარკეში, ხედავს იმის ამა თუ იმ გულის თქმას. ჩვენი საერო თუ საეკლესიო გალობა-სიმღერაც სარკეა ქართველის გულისა. იგი, კილოსა და ჰანგების მიხედვით, შეიძლება ხანებად დაიყოს. გვქონდა წარსულში ნათელი დღეები; უკუნეთი ღამეები ხომ დაუსრულებელი იყო ჩვენს ისტორიაში. ქართველის გულიც მხიარულების დროს საამურად სცემდა და სიმღერაც, ამოკვეთილი მის გულიდან, აღმაფრენი და მედიდური იყო. შავბედით დროს ქართველის მუზა ძაძა-მოსილი იყო და მისი გულის ქნარიც სხვა ნაირად ჟღერდა: მოსთქვამდა თავის უბედურობას, რომელიც მწარის ნაღველით იყო შეზავებული.

არა ერთი მაგალითი მოჰყავთ შოპენჰაუერს, ტენს, მილლს, სპენსერს და გერსს ზემო ნათქვამის დასამტკიცებლად და თანაც უმატებენ, რომ მუსიკა ყველას გულზედ ერთნაირად არა მოქმედებსო. სხვა ხალხის სიმღერები შეიძლება მოგეწონოს, მაგრამ ისე ვერ გასიამოვნებს და აღგაფრენს, როგორც შენი სამშობლო ქვეყნისა. შენი ხალხის სიმღერა დარდების გამქარვებელია და სენის გამკურნავიო. ერთ კავკასიელს, ამბობს ბერსი, რომელიც გარდახვეწილი იყო შორს, ჩრდილოეთის მხარეს უმღერეს ჩრდილოელების სიმღერები და თან კარდიოგრაფს, გულის-ცემის მაჩვენებელს, ადევნებდნენ თვალს. მათ სიმღერაზედ კავკასიელს ბევრი არა შეეტყო-რა, თითქოს ეამა, თუმცა ჩვეულებრივ დინჯად უცემდა გული. დაუკრეს კავკასიური სიმღერები და გული სწრაფლ აუტოკდა, აჩქარებით დაუწყო ცემა და თვით სახეზედაც რაღაცა სიამოვნების და ნეტარების ღიმილი უკროდა.

ძველი არაბული ანდაზაა, რომ პირუტყვიც კი გულიანად და მადლიანად ეტანება ბალახს, როცა მას კარგი სალამურის დამკვრელი მწყემსი ჰყავსო. ძველი აღთქმის ისტორიიდან ვიცით, რომ დავითი მეფე საულს ართობდა და დარდებს უქარვებდა ქნარის დაკვრით. ალექსანდრე მაკედონელი ერთმა დამკვრელმა ისე აადელვა და დაალონა, რომ მეორე მომღერლის მოწვევა დასჭირდათ, რომელმაც ტკბილის ჰანგების დაკვრით დამშვიდა იგი. ან შორს წასვლა რად გვინდა, ნამეტნავად ეხლა, ჩვენ დროს. ყველამ კარად იცის, თუ რა გავლენა აქვს „მარსელიეზას“ არა თუ ცალკე ადამიანზე, არამედ უამრავ ხალხზედ. იმდენად აღმაფრთოვანებელია გულისა ეს სიმღერა, რომ მთავრობამაც კი მიაქცია ყურადღება და აუკრძალა ხალხს მისი სიმღერა. სიმღერა-გალობის შექმნაში დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ბუნებას, ქვეყანას. მწირ და ხრიოკ ადგილას მცხოვრებნი, ბუნებით ღარიბნი და უფერულნი, სიმღერებითაც ღარიბნი, მომწყენნი და უფერულნი არიან. იგივე არ ითქმის საქართველოზედ.

„ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი“ ჩვენი მხარე დაუშრეტელი ზღვაა სულის აღმაფრენ და გულის წარმტაც ჰანგებისა. თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ თუ ვისმეს ექება თავი საერო სიმღერებით, ჩვენ მათზე მაღლა თუ არ ვდგევართ, „ბერი ქედანი“-ს ადგილი არ გვიჭირავს. სიუხვე ბუნებისა და მრავალ-ფეროვანება ჩვენის, მართლა საარაკო მშვენიერებით შემკულ ქვეყნისა, სწორედ უხვი ნიადაგია საუცხოო ჰანგებისა.

საქართველოს რომელი კუთხეც უნდა მოიაროს ადამიანმა, ყველგან თავისებურ, გასაოცარის ხელოვნებით შემკულ სიმღერას შეჰხვდება. ეს ქართველის გულიდან ამომხეთქილი მელოდიები, ლხინში მახარებელი, ჭირში მანუგეშებელი და ომში გამამხნევებელი, ასისა და ათასის წლობით მშვენიერდებოდა და ქართველის სიამაყეს შეადგენდა. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ეს ძვირფასი განძი თანდათან ხუნდებოდა, ძველი ელფერი ეკარგებოდა და საუკუნოებით შეძენილი ასე უბრალოდ ხელიდან გვეცლებოდა. ძველ მომღერლებს ყურადღებას აღარავინ აქცევდა და საფლავში ჩაჰქონდათ ფასდაუდებელი მარგალიტები.

ვისაც ესმის ძალა და დიდმნიშვნელობა საერო თუ საეკკლესიო სიმღერა-გალობისა, ის ადვილად მიჰხვდება, თუ რა დიდ საქმეს მოჰკიდა ხელი ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ. სწორედ დედა-აზრი ამ საზოგადოების არსებობისა არის ათასგან გაფანტული ჩვენი მრავალ-ფეროვანი სიმღერები, ვიდრე მთლად არ გადაგვარებულა და ხელიდან არ წაგვსვლია, შეჰკრიბოს მცოდნე პირების დახმარებით და დასწეროს იგი ნოტებზე, რათა შემდეგისათვის ყველა განსაცდელისაგან უზრუნველყოს. დიდი მიზანი ქართულ ფილარმონიისა მოითხოვს ჩვენის საზოგადოებისაგან გულ-მხურვალე თანაგრძნობას და დახმარებას. ის საქმე, რომელიც იკისრა ფილარმონიამ, ადვილად განხორციელდება, თუ საზოგადოება მხარს დაუჭერს. აი, დღეს არის დანიშნული ქართ. ფილარმონიულ საზოგადოების წლიური კრება და იმედია, საზოგადოება, რომელსაც, ვგონებ, ჩვენზე ნაკლებ არ ესმის მნიშვნელობა სიმღერისა, არ დაიზარებს, მობრძანდება და როგორც გულ-შემატკივარი, დაეხმარება, რჩევას მისცემს, გაამხნევებს და თუ სადმე შეცდომა აქვს, საერთო ძალით უჩვენებს, როგორ მოეწყოს შემდეგისათვის უკეთესად საქმე. **ფ. ჩხიკვაძე.**

## ახალი ამბები

✦ **პოკატილოვის საქმე.** ოთხშაბათს, 30 მაისს, ავჭალის ქუჩაზე ვიღაც უცნობებმა მოჰკლეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის საბარგო განყოფილების უფროსი პოკატილოვი.

✦ **მკვლელობანი.** ტფილისში ამ ბოლო დროს ბევრი უცნაური მკვლელობა ხდება. 29 მაისს, საღამოს 7 საათზედ, ზახარიევის ქუჩის და სომხის ბაზრის შესართავთან თავის შვილთან ერთად მიდიოდა ქუთაისიდან ჩამოსული, ქუთაისის მოქალაქე კონსტანტინე კვაშალი. ვიღაცამ ესროლა რევოლვერი და იქვე მოჰკლა. მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს.

კახეთის მოედანზე ვიღაცები შეუვარდნენ მეტრაქტირეს მარტიროს მარტიროსოვს, ესროლეს რევოლვერი და მოჰკლეს.

✦ **საპატიმროს მეთვალყურის მოკვლა.** ქუთაისში, სააგენტოს დეპეშის სიტყვით, 29 მაისს მოუკლავთ ქუჩაში მიმავალი საპატიმროს უფროსი მეთვალყურე კამიშოვი.

✦ **ოსებისა და ინგუშების შეტაკება.** სააგენტოს დეპეშის სიტყვით, კავკავის მახლობლად შეტაკება მოსვლიათ ოსებსა და ინგუშებს. საქმეში ჩარეულა მილიცია. მძიმედ დაჭრილა მილიციის უფროსი. მოკლული აღმოჩნდა სამი ინგუში.

✦ **ხმოსნების არჩევნები მეორე საარჩევნო უბანში.** როგორც ვწერდით, ავლაბრის 60 ამომრჩეველმა სთხოვა ტფ. ქალაქის გამგეობას, მეორე უბნის საარჩევნო კრება ავლაბარში მოხდესო. გამგეობამ შეიწყნარა ეს თხოვნა. არჩევნები მეორე უბანში კვირას, 3 ივნისისათვის, არის დანიშნული.

✦ **საავტომობილო მიმოსვლა.** კავკაველ ვაჭარს ამიტაევს და ზაქათლელს ხალილოვს განუზრახავთ ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ადგილას საავტომობილო მიმოსვლა მოაწყონ: შუამდგომლობა უკვე აღუძრავთ. სხვათა შორის განზრახვა აქვთ ავტომობილების მიმოსვლა მოაწყონ შემდეგ ადგილებს შორის: ტფილისი სიღნაღი-ზაქათალისა, ტფილისი-თელავი-წინანდლისა, სიღნაღ-თელავისა, ტფილისი-დუშეთისა და სხვაგან.

✦ **დაპატიმრება.** 29 მაისს პოლიციელებმა დააპატიმრეს არხანგელსკის გუბერნიიდან გამოქცეული ივანე კოპაძე, რომელსაც ტერორისტობას აბრალებენ.

---

## ფელეტონი

### ინგლისის პარლამენტის ცხოვრებიდან

(დოიჩელი)

III

**საკანონმდებლო მუშაობა**

(დასასრული *)

სამინისტრო არ იბრუნებს თავის პროექტს კომიტეტში, მაგრამ ოპპოზიციამ თუ მოახერხა ბილლის ერთ-ერთ მთავარ აზრის ჩაშლა, ე. ი. თუ მიაღებინა პალატას რაიმე მნიშვნელოვანი შესწორება, რომელსაც მთავრობა ეწინააღმდეგება, მაშინ არა თუ თავს ანებებს კანონ-პროექტს, სამინისტრო სრულებით თავს ანებებს სამსახურს ანა და პარლამენტის ახალს არჩევნებს ნიშნავს: ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხალხმა უნდა გადასწყვიტოს, ვისი შეხედულება ბილლზე უფრო უზის ჭკუაში: მინისტრებისა (მთავრობისა), თუ ოპპოზიციისა. ძლიერ ხშირად ბილლი გადასხვაფერდება ხოლმე კომიტეტში. ასე იყო, მაგალითად, ირლანდიის საერობო ბილლის განხილვის დროს 1897 წ., ან პიკეტაჟის**) შესახებ ბილლისა და ტრედ-უნიონების ფონდების ხელშეუხებლობის ბილლის განხილვის დროს (1906 წ). ამ გვარ შემთხვევაში მინისტრს თითონ შეაქვს შესწორებანი, რომელსაც ან მეგობარი კრიტიკოსები უთითებენ, ან ოპპოზიცია უჩვენებს. ბოლოს ყველა მუხლი ბილლისა განხილულია, განსჯილი და აწონ-დაწონილია. კანონ-პროექტი თითქმის მიღებულია. უძნელესი ხანა მუშაობისა გათავდა, და ბილლის შემტან მინისტრს შეუძლიან კიდეც მოსვენება.

კომბალი, რომელიც ამდენ ხანს მაგიდას ქვეშ იდო, ისევ მაგიდაზეა. სპიკერი ადის თავის ტახტზე. კომიტეტი ისევ პარლამენტად იქცევა. იწყება ბოლოონდელის წინა ხანა პროექტისა—„მოხსენება“. კომიტეტის თავმჯდომარე, კანონ-პროექტის კოპიოთი ხელში, მიდის სპიკერთან და ეუბნება, კანონ-პროექტი ჯერ-ჯერობით მიღებულიაო. თუ კომიტეტში არ განუცხადებია არავის შესწორება, მაშინ იმ წამსვე შეუძლიანთ მისი მესამედ წაკითხვა; მაგრამ მთავრობის დიდი კანონ-პროექტი რამ არასოდეს არ გამობრუნებულა კომიტეტიდან იმ სახით, რა სახითაც შეტანილა იქ. ამიტომ ინიშნება „მოხსენების“ დღე, და ამ დღეს შეიძლება არა თუ ახალ შესწორებათა შეტანა, არამედ ახალ მუხლების დამატება. ხანდახან ბილლი ისევ კომიტეტში ბრუნდება.

ასე მოუვიდა მაგალითად, ბალფურის სასკოლო მეორე ბილლს. ჩვეულებრივ კი მოხსენება ჩქარა ინიშნება. დგება მეხუთე, უკანასკნელი ხანა: ინიშნება მისი მესამედ წაკითხვა. ამ წაკითხვის დროს ოპპოზიცია ისევ უკეთებს კრიტიკას კანონ-პროექტის ძირითად აზრებს. მნიშვნელოვან კანონ-პროექტების მესამედ წაკითხვის დროს კამათი გრძელდება ერთ კვირას; ასე იყო, მაგალითად, ირლანდიის თვითმმართველობის (ჰომრულის) შესახებ გლადსტონის კანონ-პროექტისა და შარშან სასკოლო ბილლის მესამედ წაკითხვის დროს. მესამედ წაკითხვის დროს კანონ-პროექტის შეცვლა არ შეიძლება. ოპპოზიციას შეუძლიან ეცადოს მხოლოდ უარ-ყოფინოს პალატას ბილლი, რაიცა ძლიერ იშვიათად ხდება.

აი სთქვეს კიდეც თავისი ოპპოზიციის საუკეთესო მჭევრმეტყველებმა (the big guns), ე. ი. „საცლუე ზარბაზნები“, როგორც პარლამენტში ეძახიან), გაათავეს თავიანთი კრიტიკა. მათ მუხლ-მუხლ უპასუხეს. იწყება საბოლოო ხმის ჩამოტარება, და ბილლი მიღებულია კომმონერების სიერ. დამთავრდა შრომა მთელის სესსიისა. ქვედა პალატამ დაადასტურა კანონ პროექტი, რომლის დიდის დიდ საჭიროებას უფრო ადრე, შეიძლება სამისოთხის წლის განმავლობაში, ამტკიცებდნენ პრესსა და ცალკე პირები პლატფორმებიდან.

მაგრამ ინგლისში არიან კიდევ შთამომავლობითი კანონ-მდებლები, და ქვედა პალატის მდივანს მიაქვს მიღებული კანონ-პროექტი ზედა პალატაში და იქაურ მდივანს აძლევს. ხანდახან ლორდები დაუყოვნებლივ უარ-ჰყოფენ ბილლს; ასე უარ ჰყვეს, მაგალითად, 1893 წ. ჰომრულის პროექტი. წინააღმდეგ შემთხვევაში აქაც იგივე ხუთი ხანა უნდა გაიაროს კანონ-პროექტმა, მაგრამ ლორდები უფრო ჩქარა იხილავენ ბილლს. აქ არის კომიტეტში გადაცემა, აქაც მეორედ წაკითხვის დროს შეიძლება შესწორებათა განცხადება. რაც უნდა უმნიშვნელო იყოს შესწორება, თუ კი შეიტანა ვინმემ, ბილლს ქვედა პალატაში აბრუნებენ. ხანდა-ხან კომმონერები ზემოდ გაცხადებულ შესწორებებს ეთანხმებიან, ხან კი, როგორც შარშან მოხდა სასკოლო ბილლის შესახებ, კომმონერები ხაზს გადაუსვამენ ხოლმე ყველა ზედა პალატის შესწორებას და აღდგენილ სახით უბრუნებენ ლორდებს კანონ-პროექტს, როდესაც მთავრობას შეადგენენ კონსერვატორები, ლორდები ჩვეულებრივ უცვლელად იღებენ კანონ-პროექტებს. შთამომავლობითი კანონმდებლები, ცოტა არ იყოს, ზარმაცები არიან. დიდი უმრავლესობა თითქმის სხდომებსაც კი არ ესწრება, და რადგან სამი ლორდიც კი საკმაოა (კანონიერ რიცხვისათვის), საკანონმდებლო მუშაობას 20—30 პერი თუ მისდევს. როდესაც მთავრობა ლიბერალებისაა, ლორდები გამოცოცხლდებიან ხოლმე, მაგრამ ისეთ კანონ-პროექტების შეხებას ბედავენ, რომელიც მაინცა და მაინც არ ეინტერესება ხალხის დიდ უმრავლესობას, ძლიერ არ უნდოდათ, მაგრამ 1906 წ. მაინც ვერ გაბედეს მუშების შესახებ კანონის არ დამტკიცება. მაგრამ აი, მესამედ წაიკითხეს და დაამტკიცეს ზედა პალატაში კანონ-პროექტი. ნამდვილად, ფაქტიურად იგი კანონია ამიერიდან, თუმცა ფორმალურად იმის დაკანონებას აკლია მეფის თანხმობა. ინგლისი სრულებით სცვლის ხოლმე შინაარს, მაგრამ ხელუხლებლად სტოვებს გარეგანს, ან, უფრო ნამდვილად, გარეგნობის აჩრდილს. 1832 წლიდან მოკიდებული ინგლისის ცხოვრების ძველებური წყობილება იმდენად შეიცვალა, რომ აჩრდილი თუ დარჩა მისი, მაგრამ გარეგნობა კი დაცულია და იგივეა, რაც ამ ექვსის საუკუნის წინად იყო.

მაგრამ დაუბრუნდეთ კანონ პროექტის შემდეგს თავგადასავალს. იგულისხმება, თეორიულად, რომ ყოველ ახალ კანონის განმძრახველი მეფეა. ნამდვილად-კი მინისტრებს შეაქვთ პარლამენტში ის კანონ-პროექტები, რომელიც მათ მოსდით ჭკუაში, მაგრამ იგულისხმება, რომ სამინისტრო მეფის ბრძანებას ემსახურება და ასრულებს. აგრეთვე თეორიულად ეკუთვნის მეფეს ვეტოს*) უფლება. მას უფლება აქვს უარ ჰყოს ყოველი კანონი; მაგრამ ამ ვითომდა უფლებით ხმარებას ვერ ბედავდა გეორგ მესამეც-კი, თუმცა იგი იყო ისეთი მეფე, რომელიც სცდილობდა არა მარტო მეფობას, არამედ მართვასაც. უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც მეფემ ვეტოს უფლებით ისარგებლა, 1707 წ. იყო. ანნა დედოფალი არ დასთანხმდა შოტლანდიაში მილიციის შემოღების ბილლს. მას აქეთ, ე. ი. აგერ ორასი წელიწადი, მეფე ყოველთვის ადასტურებს (ეხლა ტელეგრაფის შემწეობითაც კი) კანონ-პროექტებს, რომელთაც ორივე პალატა მიიღებს. მეფის მიერ დამტკიცებული კანონი დიდის ამბით მოაქვს პალატაში განსაკუთრებულ ბოქაულს, რომელსაც „შავი კვერთხი“ ჰქვიან. იგი აძლევს მდივანს ეტრატს, რომელშიაც გამოთქმულია მეფის თანხმობა. მდივანი თავს უკრავს მეფის ელჩს, შემდეგ კომმონერებს და ძველებურ ფრანგულ ფორმულას ამბობს: „მეფეს ესა ნებავსო“. ეს წინადადება ჯერ კიდევ იმ დროინდელია, როდესაც ინგლისის ტახტზე პლანტაგენეტები ისხდნენ, რომელთაც ინგლისური არ იცოდნენ. მიღებული კანონი მეფისათვის მისაცემ ფულს (სუბსიდიას) თუ შეეხება (მაგალითად, 1902 წ. ედუარდ VII, ეხლანდელმა მეფემ, ითხოვა XIX საუკუნის დამდეგს შემცირებულის ჯამაგირის მომატება და თხოვნა თავის ოჯახის მრავალ რიცხოვანობით დაასაბუთა), მდივანი სხვა წინადადებას ამბობს, მაგრამ ისევ ძველებურს და ფრანგულად: „მეფე მადლ იზას უცხადებს თავის კეთილ ქვეშევრდომთ, იღებს მათ კეთილ-ნებიან ძღვენს და ეს ასე ნებავს.“ და ინგლისს ემატება ახალი კანონი, რომელიც დაუყოვნებლივ ეგზავნება კანონიერების მცველთ—მსაჯულებს. **ივ. ფ—შვილი.**

*) იხ. „ისარი“ № 116

**) პიკეტაჟი ჰქვიან იმას, როდესაც გაფიცული მუშები ჩამოუვლიან არა გაფიცულთ და ცალკ-ცალკე მუშაობაზე თავს ანებებენ.

*) «ვეტო» ლათინურად ნიშნავს აკრძალავ, არ ვიძლევი ნებას. ამ შემთხვევაში მეფე უარს ჰყოფს ორსავე პალატისაგან მიღებულ კანონს.

✦ **კრების განგრძობა** ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კრების განგრძობა დანიშნულია ხვალ, 1 ივნისის საღამოს 7 საათისთვის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

✦ **მეეზოვის მოკვლა.** 29 მაისს, საღამოს 9 საათზედ, პოლიციის მე 8 ნაწილში სურფ კარაპეტის აღმართზე, ხევში, პოლიციელებმა ნახეს გვერდში დანით დაჭრილი მეეზოვე ნავრუზ ხანჯალ-ქელიულ-ოღლი. დაჭრილი მიხეილის სავადმყოფოში გაგზავნეს. ნავრუზს უთქვამს, ვიღაც სომეხმა გამოშირბინა, დამკრა გვერდში დანა და გაიქცაო.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვცხადო უღრმესი მადლობა საყმაწვილო ჟურნალების „ნაკადულის“ და „ჯეჯილის“ რედაქციებს, რომელნიც, თხოვნის თანახმად, უფასოდ უგზავნიან თავიანთ ჟურნალის ყველა ნომრების სტეფანწმინდის (ყაზბეგის) ორკლასიან სკოლას. მასწავლებელი ილია მაჩავარიანი“.

✦ თიანეთის მაზრის უფროსი გოგოხია სიღნაღის მაზრაში გადაიყვანეს.

✦ 28 მაისს მუშტაიდის ქუჩაზე მოკლული აღმოჩნდა თელავის მცხოვრები, მეჩექმე მიხეილ სტეფანოვი. რა მიზეზით ან ვინ მოკლა სტეფანოვი, ვერ გავიგეთ.

✦ ამ დღეებში სიღნაღის მაზრიდან ტფილისში ჩამოსულან ბოდბის ხევის მცხოვრებნი დ. ხოსიტაშვილი და ვანო შიხინაშვილი. 29 მაისს ელისაბედის ქუჩაზე მათ თავს დაესხა ოთხი შეიარაღებული კაცი, წაგლიჯა 335 მან. და გაიქცა. პოლიციელებმა, როგორც ამბობენ, ერთი შეიპყრეს და საკომენდანტო სამართველოში წაიყვანეს. დაპატიმრებული აღმოჩნდა გრიგოლ კოტინევი.

✦ 29 მაისს მოსკოვის ქუჩაზე ტოლიკაძეს დუქანში პოლიციელებმა დააპატიმრეს პროკოპი ოზეროვი, რომელსაც ყალბი ხუთ მანეთიანი უნდოდა გაესაღებინა.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ 29 მაისს დაიწყო ქუთაისის სათავად-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება. მოგვყავს ცნობები ბანკის მოქმედების შესახებ: 1906 წლის ბანკის მოგებას შეადგენს 75.384 მ. 30 კ. აქედან საერო საჭიროებისათვის გადადებულია 41.461 მანეთი 36 კ. ეს ფული ვერ დააკმაყოფილებს ქართულ გიმნაზიის საჭიროებას და ამიტომ ბანკის გამგენი აფრთხილებენ რწმუნებულთ, ხელ-გაშლილად ნუ მოიქცევით ფულის გაცემაშიო. 1 იანვარს 1907 წ. ბანკს მიღებული ჰქონია გირაოდ 9.223.319 მ. 81 კაპ. მამული საანგარიშო წლის განმავლობაში გაუცია 305800 მანეთი სესხი: მაგრამ სამაგიეროდ მსესხებლებს გაუზათილებიათ ნაღდის ფულით და გირავნობის ფურცლებით 531.272 მ. 61 კ. სესხი.

1906 წლის განმავლობაში სავაჭროდ დანიშნულია 89 მამული; გაყიდულა—69, ბანკს დარჩენია—30 მამული, მიმდინარე წლის 1 იანვარს ბანკზე ყოფილა დარჩენილი ქუთაისის გუბერნიაში: 68 სოფლის მამული 136.676 მ. ვალით; ქალაქისა—22 მამული 168.494 მ. 24 კ. ვალით. ტფილისის გუბერნიაში: სოფლის მამული ერთი 4.359—5 მ. ვალით, ქალაქისა—22—681.455 მ. 67 კ. ვალით. სულ ბანკზე დარჩენილა: 113 მამული, რომლის ვალი შეადგენს 990.984 მანეთი. საანგარიშო ხნის განმავლობაში ბანკზე დარჩენილ მამულებიდან შემოსულა 26.155 მნ., რაც ვალის 2%-ს ცოტა აღემატება.

ბანკის შემოსავალში თვალ-საჩინო ადგილი უჭირავს ჯარიმას. იგი შეადგენს თითქმის 67.000 მანეთს იმ დროს, როცა ჩვეულობრივი გადასახადი უდრის 77.994 მანეთს.

✦ კვირას, 3 ივნისს, „სემეინი სად“-ში გაიმართება სეირნობა ხონის ახლად დაარსებულის გიმნაზიის სასარგებლოდ. ეს პირველი გიმნაზია იქნება ჩვენში, რომელსაც სოფლის საზოგადოება აარსებს. გარდა სწავლის ფულისა და საზოგადოების დახმარებისა, სხვა საშუალება არაფერი ექნება.

იმედია, ქუთაისის საზოგადოება თანაგრძნობით შეეგებება კეთილს განზრახვას და თავის მხრით დახმარებას აღმოუჩენს ახლად დაწყებულს სასარგებლო საქმეს.

### ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კრება.

კრების გაგრძელება 29 მაისს საღამოთი მოხდა. კრებამ მოისმინა გიმნაზიის ყოფილ მასწავბლის ცვეტნიცკის თხოვნა შემწეობის შესახებ. კრებამ ეს საქმე გამგე კომიტეტს მიანდო.

კრება შეუდგა კომიტეტის მიერ შედგენილ ინსტრუქციის პროექტის განხილვას. პირველი მუხლი, რომლის ძალითაც კომიტეტს ნება აქვს სრული კონტროლი გაუწიოს სკოლას, კრებამ უკამათოდ მიიღო. დაუსრულებელი კამათი გამოიწვია პროექტის მესამე მუხლმა. ამ მუხლში ნათქვამია, რომ როდესაც საპედაგოგიო საბჭოში, ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს, უმცირესობა თანახმა არ იქნება უმრავლესობის დადგენილებისა, უმცირესობა საქმეს კომიტეტში გადაიტანს. კომიტეტი საქმის განხილვის შემდეგ, იმისდა მიხედვით თუ რამდენად მნიშვნელოვანი საგანია, ხელ-მეორედ დანიშნავს საპედაგოგიო საბჭოს სხდომას და თითონაც დაესწრება. ამ მუხლის წინააღმდეგ ილაპარაკეს გორცხილაძემ, ალ. მდივანმა, მაჩაბლიშვილმა, ყანჩელმა და სხვებმა. ამათის აზრით, ეს მუხლი დიდ შუღლს შეიტანს ავტონომიურ საბჭოში. უმცირესობა უსათუოდ უნდა დაემორჩილოს უმრავლესობის დადგენილებას. კომიტეტის წინადადება რომ მივიღოთ, საბჭო საინტრიგო მოედნად გადაიქცევა. ან კი რა საჭიროა ამ მუხლის შეტანა, როდესაც ფაქტიური კონტროლერი კომიტეტი იქნებაო. მოწინააღმდეგე ორატორებმა სხვა მოსაზრებანიც გამოსთქვეს. ამათ პასუხი გასცეს კომიტეტის წევრებმა ი. ს. ღულაძემ, ვ. ი. რცხილაძემ, ალ. ზ. ჩოლოყაშვილმა, დემიდოვმა და სხვ. ამათის აზრით, უმცირესობას უსათუოდ უნდა მიეცეს საშუალება თავის მოსაზრებათა გამოთქმისა, ამიტომ უნდა მივიღოთ წინადადება საკითხის ხელ-მეორედ განხილვისა. შეიძლება უმცირესობა, საკითხის განსაჩივრების უფლება მოკლებულმა, ფარულად იმოქმედოს უმრავლესობის გადაწყვეტილების გასაბათილებლად და მისის ავტორიტეტის გასატეხად.

კრებამ ხმის უმეტესობით უცვლელად დასტოვა აღნიშნული მუხლი.

კამათი გამოიწვია მე-8 მუხლმა გიმნაზიის გამგის დათხოვნა-მოწვევის შესახებ. კრება უცვლელად დასტოვა მე-8 მუხლი, რომლის ძალითაც გიმნაზიის გამგის მოწვევისა და დათხოვნის უფლება აქვს გამგე-კომიტეტს.

### შავი ქვის მრეწველთა მეცხრე კრება.

24 მაისს დაიწყო მრეწველთა კრება, მაგრამ გაკეთებით ჯერ თითქმის არაფერი გაუკეთებია. 28 მაისამდის იმის მოლოდინში იყვნენ, რომ ამ დღეს ბევრი მრეწველი მოიყრიდა თავს და, როცა მართლა 70 კაცამდე შეიკრიბა, მთელი დღე იმას მოანდომეს—გადაიტანონ თუ არა კრება ჭიათურაში. საკითხი თავის თავად მარტივია, მაგრამ გაართულა იმ გარემოებამ, რომ კრების დიდმა უმრავლესობამ პირველ ხანს არ შეიწყნარა კანონიერი მოთხოვნილება მოსემვილისა, რომ საკითხი ფარულის კენჭის ყრით გადაწყვეტილიყო. არ ვიცით რა მიზეზით, თავმჯდომარემაც შეუძლებლად დაინახა დახურული კენჭის ყრა, მხოლოდ შემდეგ, როცა სხვებმაც განაცხადეს, გვინდა ფარული კენჭის ყრაო, თავმჯდომარემ შეუძლებელი შესაძლებლად გახადა. 73 ხმით, წინააღმდეგ 10 ხმისა, გადასწყდა მრეწველთა კრების ჭიათურაში გადატანა.

შემდეგ კ. აბაშიძემ მოაგონა კრებას საკითხი ქართულ ენის შესახებ. გაიმართა გაუთავებელი ბჭობა—ნამესტნიკთან თუ სავაჭრო-სამრეწველო მინისტრთან გავგზავნოთ დეპეშა. ბოლოს უმრავლესობამ მინისტრთან მიმართვა ინდომა.

თავმჯდომარემ კრება არ შესწყვიტა და საბჭოს მოქმედების ანგარიშის განხილვას შეუდგა. აღმოჩნდა, რომ ანგარიში ცოტა ვისმესა ჰქონდა წაკითხული, ამიტომ საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვიერათ განმარტა ანგარიში, რომლის შემდეგაც კრება გადაიდო 29 მაისისათვის.

28 მაისს ჭიათურის მუშებმა ერთი დღის გაფიცვა გამოაცხადეს, ამ გაფიცვას კავშირი აქვს მრეწველთა კრებასთან, ამიტომ მოგვყავს ამ დღეს გამოცემული ფურცელი:

„ამხანაგებო მუშებო! ხანგრძლივ და შეუპოვარ ბრძოლით ჩვენ ცოტათი შევიმსუბუქეთ ჩვენი ჯოჯოხეთური ცხოვრება, მაგრამ კიდევ ბევრი საჭირო რამ გვაკლია, კიდევ აუცილებელია მედგარი ბრძოლა, რათა ვაიძულოთ ჩვენი ხაზეინები გაიმეტონ რამე ჩვენი ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. 24 მაისს გაიხსნა მრეწველთა კრება. ამ კრებისთვის შემუშავებულია მოთხოვნილებები: 1. საბჭოს ჭიათურაში დაუყონებლივ გადმოტანა; 2. მუშების წარმომადგენლების დაშვება მრეწველების ყველა კრებაზე გადამწყვეტის ხმით; 3. დამზღვევ აგენტის არჩევა მუშების მიერ; 4. მუშათა სწავლა-განათლების საქმის გაუმჯობესება; 5. წყლის გაყვანა მაღნებში, სახალხო სახლის გაკეთება, ექიმობის გაუმჯობესება. აი, ის მოთხოვნილებები, რომლებიც უნდა წარვუდგინოთ მრეწველთა კრებას და ვაიძულოთ სავსებით დაკმაყოფილება. მაგრამ, ამხანაგებო, ეს კრება ვერ დაგვაყრის ხეირს, თუ ის ქუთაისში მოხდა, იქ ლაპარაკი მარტო რუსულად დარჩა და შიგ გარეშე ხალხი არ შეუშვეს, ამ შემთხვევაში ეს კრება ჩვენთვის მიუწდომელია. ჩვენ არ გვეცოდინება: რა ხდება იქ და როგორ სწყდება საკითხები. აი, ამიტომ ჩვენ ვაიძულოთ მრეწველები, რომ მათ მოსთხოვონ მთავრობას: 1. ამ მეცხრე კრების ჭიათურაში გადმოტანა; 2. ლაპარაკი სწარმოებდეს იმ ენაზე, რომელიც დამსწრეთ უფრო ეხერხებათ; 3. სხდომები საჯარო იყოს. ამ მოთხოვნილებების მხარის დასაჭერად და მრეწველებზე ძალის დასატანებლად ვიფიცებით ერთის დღით. დეე, ჩვენმა ხაზეინებმა და მტრებმა დაინახონ, რომ ჩვენ გვაქვს მჭიდრო კავშირი, რომ ჩვენ ყოველ წუთში მზადა ვართ ბრძოლისთვის; რომ ჩვენ შეგვიძლიან არა მარტო თითოეულ ხაზეინთან, არამედ მათ კავშირთანაც ბრძოლა. დეე, ყველა ჯაშუშ-პროვოკატორებმა დაინახონ, რომ მათი მეცადინეობა ფუჭია, რომ პროლეტარიატი ყოველ შეტაკებიდან გამოდის უფრო ძლიერი, გასალკლდევებული!“

## პროვინციის ცხოვრება

**გორი.** 13 მაისს დილით ვიღაც უცნობმა თოფის სროლით მოჰკლა სობოროს ქუჩით მიმავალი ერთი გოროდოვოი და გორელი მოქალაქე სულხან დამბაროვი. ამ სროლამ ხალხი ძალიან შეაშინა და დააფრთხო. გაჩნდნენ პოლიცია და ყაზახები, დაუწყეს ხალხს ჩხრეკა, მაგრამ მკვლელი მიიმალა. რადგან ეს დღე კვირა იყო, გორის ბაზარი დაკეტილი იყო, გარდა როსტომოვის საკონდიტეროსი, რომელიც არის სობოროს ქუჩაზედ, იმ ადგას, სადაც მკვლელობა მოხდა. თითონ როსტომოვი სროლის დროს შიგ კონდიტერში ყოფილა. სროლაზე გარედ გამოვარდნილა შეშინებული, მაგრამ უტაცნიათ ხელი და დაუჭერიათ. ზოგნი შიგ საკონდიტეროში შეცვივნულან. როსტომოვის დაჭერის დროს იქვე ყოფილა მისი 7—8 წლის ვაჟი, რომელსაც, ალბად მამის გადასარჩენად, უთქვამს: მე ვიცი და გაჩვენებთ მკვლელსაო. ამის შემდეგ საკონდიტერო დაბეჭდეს, როსტომოვი დააპატიმრეს და ბავშვი მაზრის უფროსთან წაიყვანეს, სადაც ბავშვმა განაცხადა, მკვლელი გორის სამოქალაქო სკოლის მოწაფეაო. ეს ბავშვს დაუჯერეს. მაზრის უფროსის თანაშემწემ აცნობა სკოლის ინსპექტორს მოწაფენი შეეკრიბნა, რაც ინსპექტორმა სასწრაფოდ შეასრულა. შეკრიბნენ თუ არა მოწაფენი, მაზრის უფროსის თანაშემწე თ. ბარათაშვილი ბოქაულის გუსკოვსკის და ერთის სტრაჟნიკის თანხლებით და ზემოთ ხსენებულის ბავშვით მივიდა ეტლით სასწავლებელში, სადაც ბავშვმა ნახა მოწაფენი, მაგრამ მათში ვერ იცნო მკვლელი. შემდეგ თ. ბარათაშვილი ბავშვით და ბოქაულის თანხლებით დაბრუნდა უკან და რამოდენიმე ქუჩები დაატარა ეტლით ბავშვი მკვლელის საპოვნელად, მაგრამ ბავშვმა ვერც ქალაქში იპოვნა. ამავე დღეს პოლიციამ დააპატიმრა სამოქალაქო სკოლის მოწაფენი: შავლოვი, წერეთელი, ქურდოვანიძე, ჩაბიშვილი, და გორის ბაზრის ზედამხედველი კ. გვარამაძე. ყველა ესენი, ბევრი კიდევ სხვა და სოფლად ამავე აზრით დაჭერილნი სატუსაღოში გადაიყვანეს, გარდა როსტომოვისა და კ. გვარამაძისა, რომელნიც ამ ჟამად ციხეში სხედან.

**ქვემო-გომელი.**

## მუშების ცხოვრება

**თელავი.** მართალია ნოქარ-ქარგალთა გაფიცვა და არსებულ ვაჭრობა-მუშაობის დროს წინააღმდეგ მოძრაობა ხშირად მომხდარა თელავში, მაგრამ რადგან პატრონობას არავინ უწევდა და არც წესიერი ხელმძღვანელი ჰყავდათ, ყოველთვის საქმე ამათ დამარცხებით თავდებოდა. თუმცა ორ-სამ დღეს გვიან იღებოდა და ადრე იკეტებოდა, მაგრამ ისიც ჩხუბისა და დავიდარაბით, შემდეგ კი ისევ ჩვეულებრივად იწყებოდა დილა ადრიანად მუშაობა და გრძელდება შუაღამემდე, ისევ ნოქარ-ქარგალთა თავის კანტური და თქვლემა ვიდრე აღსაც ძილი არ მოერეოდა და არ იწებებდა დუქნის დაკეტვას.

ეხლა ძალაში შევიდა შერეულ კომისიის მიერ შემუშავებული დადგენილება. სავაჭრო და სახელოსნო დუქნები იღება 6 ს. და 6 საათზედვე იკეტება. ამნაირად ბაზარი 12 საათი იქნება ღია. როგორც პირველად გავიგეთ და გაზეთებშიაც იყო მოხსენებული, კომისიას 11 ს. დაუწესებია, ეხლა კი ერთი საათი საიდანღაც წამატა. ამის გაგება თვით კომისიის წევრთათვის მიგვინდვია. ვაჭრობის ამ რიგად განწესრიგებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ალა-ოსტატებს შორის. ვაჭარმა შეიძლება როგორმე აიტანოს, მაგრამ ხელოსნები სად შესძლებენ ასე „ნახევარი დღის“ მუშაობით დუქნებს გაუძლვენენო. მიკიტნები ხომ წამ და უწუმ გაიძახიან დავიქცეით, დავიღუპენით, თუ მუშტარი შემოდიოდა, ბაზრის დაკეტვის შემდეგ და, თუ ასე გაგრძელდა, ბევრი გამოჰკეტავს თავის დუქანს, რადგან ზარალს ვერ გაუძლებსო.

აქამომდე დღიურ სამუშაოზედაც დრო არ არსებობდა; დილა-ადრიანად უაწყებული ბინდამდის მუშაობდნენ და მხოლოდ პურის ჭამის დროს ჰქონდათ პატარა შესვენება. ეხლა კი დღიურად მუშაობდნენ და მხოლოდ პურის ჭამის დროს ჰქონდათ პატარა შესვენება. ეხლა კი დღიურად მუშაობაც (მაგ. კალატოზების, დურგლების და სხვა) ისევე სწარმოებს, როგორც ბაზარში. საღამოს 6 საათზე ხელოსანი ხელს იღებს და ეს მით უფრო კარგია, რომ ამის წყალობით ხელის მუშაც თავისუფლდება და მოადრეებით შინ ახლო სოფელში მიდის.

ბაზრის სახელოსნოების გარდა ქარგალ-შეგირდები ჰყავთ ქალთა სახელოსნოებშიაც, მაგ. სიმონოვისა, პაატაშვილისა და სხვ. ზოგან უფრო ბევრი ქალი დაიარება და რასაკვირველია, ამათზედაც უნდა გავრცელდეს განსაზღრული დრო, რადგან ეს დებულება ყველა დარგის მუშაობას უნდა ეხებოდეს სქესის განურჩევლად. **მუშა.**

**ახალ-ციხე.** ამას წინად ხმა გავარდა, რომ აქური ნოქრები და სხვა და სხვა სახელოსნოს შეგირდები გაიფიცნენ, თხოულობენ ფასის მომატებას და სამუშაო დროს შემცირებასაო. მაგრამ, როგორც შემდეგში გამოირკვა, ხუმრობა გამოდგა. რასაკვირველია, ეს რომ აცხადებულიყო, ვერაფერ გუნებაზედ დააყენებდა აღებს, რომელნიც ამ მხრივ ძალიან განებივრებულნი არიან, ე. ი. ისე იქცევიან, როგორც მოითხოვს მათი პირადი სარგებლობა და დამშლელიც არავინ არის. მევრჯან მოაწესრიგეს დრო მაღაზია-დუქნების გაღება-დაკეტვისა, ახალციხეში-კი აქამდე ადამის დროის წესებია ისევ. ათ საათზედ ისევ სხედან პაწია შეგირდები და სთვლემთ საქმეზედ.

ეხლახან თამბაქოს ქარხანაში გაიფიცნენ მუშები, თხოულობდნენ ფასის მომატებას, ასეთი მათი თხოვნა აგერ კაი ხანია მეორდებოდა, მაგრამ ქარხნის პატრონები (ექვსი კაცია) დღემდის მოტყუებით აკმაყოფილებდნენ, ბოლოს გამოუცხადეს, არ დაგპირებივართ, ვერც დაგპირდებით და აღარც გვინდიხართ, მიბძანდით, ჩვენის საკუთარის ძალითაც იოლას წავალთო. რამდენიმე დღის შემდეგ გამოჩნდნენ მსურველნი გარეკილ მუშების ადგილის დაჭერისა და გაეჩარხათ ისევ საქმე მექარხნეებს, ისევ მთელი დღე სამ, ხუთ, ექვს შაურად მუშაობამ სძლია. არიან ცოტა მეტ ფასიანებიც, მაგრამ მათი რიცხვი მცირეა. ხუთ და ექვს შაურად ცოლშვილიანმა კაცმა, ანუ ქმარ-შვილიანმა დედაკაცმა უნდა ოჯახი გამოკვებოს! **ბათუმელი.**

### პასუხი „კახეთის“ საზოგადოებას.*)

სრულიად მოულოდნელათ „კახეთის“ საზოგადოების გამგეობამ და საზოგადოების მორიგ საერთო კრებაზე არჩეულ კომისიამ გამოგვიცხადა ლოკაუტი. ეს ჩვენთვის მოულოდნელი იყო, რადგან შრომის პირობების შემუშავების შესახებ მოლაპარაკება სრულიად მშვიდობიანად სწარმოებდა უკანასკნელ წამამდე.

საქმე ასე იყო.

მიმდინარე წლის მარტში „კახეთის“ საზოგადოების მუშებმა წარუდგინეს საზოგადოების გამგეობას მოთხოვნები სამუშაო პირობების გაუმჯობესების შესახებ. ჯერ კიდევ მუშებს არ მიეღოთ პასუხი ამ მოთხოვნებზე, რომ მოხდა „კახეთის“ საზოგადოების მორიგი საზოგადო კრება. კრებამ აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა საზოგადოების წარმოების მოწესრიგება. ამ კომისიამ შეიმუშავა სარდაფის მუშების შრომის პირობების პროექტი და აპრილში სააღდგომოდ წარმოგვიდგინა ჩვენ განსახილველად. ჩვენც ჩვენის მხრივ შევადგინეთ კონტრ პროექტი და წარუდგინეთ საზოგადოების გამგეობას და კომისიას. ამის შემდეგ იწყება მშვიდობიანი მოლაპარაკება ერთის მხრივ საზოგადოების გამგეობისა და კომისიის და მეორეს მხრივ მუშების კომისიის შორის. შეერთებული სხდომა იყო ორჯერ, სადაც განიხილეს ორივე პროექტი. ამის შემდეგ მუშებმა წარუდგინეს გამგეობას და კომისიას საბოლოოდ შემუშავებული პროექტი და მოითხოვეს პასუხი.

პასუხი მივიღეთ 26 მაისს, დაახლოვებით შუადღის 2 საათზე. ეს პასუხი ის, რომელიც სრულიად სწყვეტს იმ მშვიდობიან მოლაპარაკებას, რომელიც წარმოებდა ჩვენს, მუშებსა, და გამგეობას და კომისიას შორის.

გამგეობა და კომისია თავის პასუხში, გარდა უმნიშვნელო მუხლებისა თითქმის ყველა მუხლში ეთანხმება ჩვენს პროექტს. მხოლოდ გამგეობა და კომისია ამავე პასუხში იწყებს სრულიად ახალ კამპანიას ჩვენ წინააღმდეგ. **ისინი გვიყენებენ ჩვენ ულტიმატუმის ფორმით ახალ მოთხოვნებს,** გვაძლევენ წინადადებას უსიტყვოდ დავთანხმდეთ მათ მოთხოვნას და, თუ არ დავთანხმდებით და პასუხს არ მივცემთ, 28 მაისს (ორშაბათს) დილით, ისინი დათხოვნილად გვცნობენ ჩვენ. **მათი მოთხოვნები შეიცავს: 1) სარდაფის მუშების ნახევარ რიცხვის დათხოვნას და 2) მუშებისგან გაძევებულ მელვინე მჭედლიშვილის მიღებას.** ჯერ ერთი ეს მოთხოვნები არ შედიოდა ჩვენ მოლაპარაკების საგანში და მეორე, ის მოთხოვნები სრულიად არღვევს მუშების უმთავრეს უფლებებს, იმ უფლებებს, რომლებიც ჩვენ გვქონდა და რომლებზედაც თვით გამგეობა და კომისია გვეთანხმებოდა. „მუშების მიღება-დათხოვნა თვით მუშების ან მუშების კავშირის საქმეა“,—ეს უფლება გვქონდა ჩვენ და თქვენ ეხლა უსიტყვოდ მოითხოვეთ ჩვენგან ამ მუხლის გაუქმება. **თქვენ შეეხეთ ჩვენგნით წინათ მოპოვებულ უფლებას და ჩვენც კატეგორიულად უარს გეუბნებით მის გაუქმებაზე.**

თქვენ განიზრახეთ მუშების ერთი ნაწილის დათხოვნა და ამის შესახებ არც კი მოისურვეთ მუშებთან მოლაპარაკება. თქვენ მოითხოვეთ პასუხი 28 მაისს დილისათვის. ჩვენ მუშები მზად ვიყავით მოგვეცა თქვენთვის პასუხი, მაგრამ 28 მაისს, როდესაც სამუშაოდ მივედით სარდაფში, ის თქვენი ბრძანებით დაკეტილი დაგვხვდა. თქვენ ჩვენი პასუხისათვის არ მოგიცდიათ და 28 მაისს დილიდანვე დაჰკეტეთ სარდაფი. მუშებმა მოვითხოვეთ სარდაფის დაკეტვის მიზეზის ახსნა და თქვენ ორშაბათს, 28 მაისს, მობრძანდით სარდაფში და გამოგვიცხადეთ შემდეგი: „რადგანაც „კახეთის“ სარდაფის მუშებმა არ მიიღეს კომისიის მიერ წარდგენილი პირობები და არ დაადგნენ სამუშაოს, დღეიდან ითვლებიან თავის ნებით გასულებად და შეუძლიანთ მიიღონ ანგარიში საზოგადოების კანტორაში (ერევნის მოედანზე) ყოველ დღე 12—2 საათამდე, პირველ ივნისამდე!! ასეთი იყო თქვენი პასუხი. თქვენი პასუხი სრულიად ეწინააღმდეგება სინამდვილეს.

1) მუშებს თქვენი წინადადებითვე (26 მაისს) **შეეძლოთ 28 მაისს 12 საათამდე მოეცა თქვენთვის პასუხი; თქვენ არ დაუცადეთ ჩვენ პასუხს და მუშები არ დაუშვით სამუშაოთ;** 2) თქვენ ამბობთ, მუშები „არ დაადგნენ სამუშაოსა“-ო; ეს ტყუილია, რადგან მუშები 28 მაისს მივიდნენ სამუშაოდ სარდაფში, მაგრამ მათ უპასუხეს, რომ გამგეობამ სარდაფი დაკეტა და მუშაობა არ შეიძლებაო. ცხადია, თქვენი განცხადება ყალბია.

თქვენ მოისურვეთ მოგეხვიათ მუშებისათვის თავზე ის, რაც მათ არ ჩაუდენიათ. თქვენ მოინდომეთ ლოკაუტის გამოსაცხადებლად მიზეზის შოვნა და ამიტომ მიმართეთ ასეთ უმზგავსო ხრიკებს.

ჩვენ საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ მუშაობას თავს არ ვანებებთ და არც დაგვინებებია. გაძლევთ პასუხს თქვენ მიერ 26 მაისს წარმოდგენილ მოთხოვნებზე;

28 მაისს ჩვენ, „კახეთის“ საზოგადოების მუშებმა, ვიქონიეთ მსჯელობა საზოგადოების კომისიის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნებზე (26 მაისის თარიღი) და დავადგინეთ შემდეგი: 1) ჩვენ მიერ წარმოდგენილ სამუშაო წესების უკანასკნელ პროექტს, რომელიც გამგეობას და კომისიას ხელთა აქვთ, სავალდებულოდ ვრაცხთ როგორც ჩვენთვის, ისე საზოგადოების ადმინისტრაციისათვის; 2) მოვითხოვთ დაკმაყოფილებას იმ მოთხოვნილებისას, რომელიც გამგეობას წარუდგინა მიმდინარე წლის მარტში; 3) ვინაიდან ჩვენი (მუშების) შეხედულებით „კახეთის“ საზოგადოების წარმოება არავითარ კრიზისს არ განიცდის, გამგეობისა და კომისიის მოთხოვნა მუშების დათხოვნის შესახებ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. როცა ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროექტი ორივე მხრიდან იქნება მიღებული, მაშინ მივიღებთ პასუხს მუშების დათხოვნის შესახებ; 4) ვინაიდან მელვინე მჭედლიშვილი მისი ცუდი მოქმედებისათვის

*) ეს წერილი „ლახვრიდან“ გადმოვბეჭდეთ მუშების თხოვნით. რედ.

ჩვენგან დათხოვნილია, იმის მიღებაზე უარს გვეხადეთ. „გაზეთის“ მუშები (41 კაცი.)

## წერილი რედაქციის მიმართ

[illegible]

ბაა ან თუ სხვა რაიმე დანაშაულობა მიმიძღვის ხალხის წინააღმდეგ, თანახმა ვარ სამედიატორო სამართალში, თუნდ გაზეთში გამოაცხადონ ჩემი დანაშაულობა. თუ არა და თვით ხალხმა, რომელიც უფრო კარგად მიცნობს, გამასამართლოს.

**სამსონ ქელენჯი.**

—

გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი წერილი:

ნაძალადევში მთავარ სახელოსნოების მახლობლათ, არსებობს რკინის გზის პ რველ-დაწყებითი სასწავლებელი, სადაც რუსებთან ერთად ნახევარზე მეტი ქართველი სწავლობს ორისავე სქესისა. მიუხედავად ამისა, ამ სასწავლებელში არ ასწავლიან ქართულ ენას, რაც საშინლად აფერხებს ნორმალურ სწავლას ბავშვებისას. ნუ თუ არ შეუძლიან რკინის გზას მოიწვიოს ერთი მასწავლებელი ქართული ენისთვის?

**ერთი მშრომელთაგანი.**

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი**, 30 მაისი. პეტერბურგიდან მოვიდა ნებართვა, შავი-ქვის მრეწველთა კრების გადატანის შესახებ ჭიათურაში. სხდომები შესწყდა და ორშაბათს, 4 ივნისს, ისევ დაიწყება ჭიათურაში. ქართულ ენაზე კამათის ნებართვა მთავრობამ არ დართო.

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)
30 მაისი

**მოსკოვი.** ქალაქში ნიაღვარმა სარდაფები და დაბალი ადგილები დაჰფარა გრუზინოში ორი გლეხი დაიხრჩო. ზარალი დიდია.

**ლოძი.** გეიერის მანუფაქტურის დირექციამ მუშები გააფრთხილა: თუ გაიფიცებით ფ ბრიკა დაიხურებაო. მიუხედავად ამისა, 28 მაისს 600 მუშა მაინც გაიფ ცა.

**ფელდოსია.** აივაზოვის შადრევანის პირდაპირ სასიკვდილოდ დასჭრეს საპატიმროს უფროსი სავიჩი. უცნობმა სროლა ასტეხა და გაიქცა, მაგრამ როცა ნახა, რომ პოლიციელი მო წევდა, თავი მოიკლა.

**კიევი.** ბერდიჩევში ჩხრეკის დროს სასტუმროში იპოვნეს ოთხი ყუმბარა. ორი კაცი დაიჭირეს.

**კუტნო.** პოსად კროსნევიცაში მოჰკლეს სტრაჟნიკი. შეიპყრეს ორი კაცი.

**ბერლინი.** ბერნის გაზეთების თქმით შვეიცარიის უნივერსიტეტების დელეგატებმა დაადგინეს, შემოიღონ რუს სტუდენტების მისაღებად შვეიცარიის უნივერსიტეტებში ისეთივე წესები, როგორც რუსეთის უნივერსიტეტებშია უცხოელ სტუდენტთათვის.

**თეირანი.** მართალი გამოდგა ამბავი 26 მაისს მთავრობის ჯარსა და მეამბოხეთა შორის მომხდარ ბრძოლის შესახებ. მეამბოხენი უკუ იქცნენ. დაედევნა კავალერია და 40 კაცი მოუკლა. სალაროდ-დავლე გაიქცა. მაკუს ოლქშიაც ამბოხება დაიწყო. სოფლები აიკლეს.

**ნოვო-ნიკოლაევსკი.** მძიმედ დასჭრეს სტრაჟნიკი. სად. ბერსკოვოს მახლობლად 6 კაცი დაეცა ფოსტას. მძიმედ დასჭრეს მეელტ ი და ცხენები. ფოსტალიონმა სროლა ატეხა და ფოსტა უვნებლად ნიკოლაევსკში მოიტანა.

**კიევი.** კანევის მაზრის სოფ. ვლადისლავკაში დაიწვა საუფლისწულო მამულის სხვა და სხვა შენობა, იარაღები და 16 ხარი.

**კელცი.** სოფ. რავაში დაეცნენ სამთო ქარხნის გამგეს. მოიტაცეს 150 მანეთი ნაღდი და 15,000 მანეთისა სარგებლიანი ქაღალდები და სხვა ნივთები.

**თეირანი.** ნაციონალურ ბანკის დირექტორებმა მთავრობას შემწეობა აღუთქვეს.

**სიზრანი.** სოფ. ჩეკალინაში დაიწვა 175 სახლი და მემამულის ზოგიერთი შენობა.

**ცომაშოვი.** ვარშავის ქუჩაზე მოჰკლეს უმცროსი სტრაჟნიკი. სადამოთი დასჭრეს უფროსი სტრაჟნიკი.

**სამარა.** ნოვოსემეკინის სტარასტის მაკეევის შვილს ორი ყუმბარა უპოვნეს. ისა და მოჯამაგირე დააპატიმრეს.

**სევასტოპოლი.** რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში იპოვნეს 13 გირვანქიანი თუჯის ფიტილიანი ყუმბარა.

**პეტერბურგი.** ვაჭრობის სამინისტრომ შეიმუშავა ახალი კანონ-პროექტი. იგი შეეხება აუცილებელ დაზღვევას მუშაობის შეუძლებლობის ან სიბერის დროს. დაზღვეულ უნდა იქნენ 65 წლის მუშები და სხვა მოსამსახურენი, რომელნიც სავაჭრო-სამრეწველო და საკრედიტო დაწესებულებაში მსახურობენ და 1000 მანეთზე ნაკლებ ჯამაგირს იღებენ.

**მიტავა.** დონგანენის ვოლოსტში ტყეში დააპატიმრეს ტერორისტთა ჯგუფი, I8 კაცისაგან შემდგარი. უპოვნეს პირაქსელინი და რამდენიმე ყუმბარა.

**ნიუ-იორკი.** ტოკიოდან მოსულ ცნობით პერთა პალატაში ოპოზიციის მეთაურმა ვიკონტ ტანიმ განაცხადა, რომ თუ დიპლომატებმა ამერიკისაგან კმაყოფილება არ მიიღეს, მაშინ იაპონელებს ერთად-ერთი საშვალება დარჩენიათ—მალას მიმართონო. ტანი დარწმუნებულია, რომ ამერიკელები დასთმობენ, რადგან ისინი ვაჭრულის ანგარიშებით ხელმძღვანელობენო.

**ლონდონი.** გამოვიდა მეფის დეკრეტი, რომლის ძალითაც ორანჟეს ახალშენში ისეთივე თვითმართველობა უნდა შემოიღონ, როგორიც ტრანსვაალშია.

**ბუქარესტი.** მეორე საარჩევნო კურიაში აირჩიეს 62 ლიბერალი, 3 კონსერვატორი. 5 კაცი ხელახლა უნდა აირჩიონ.

**აცკარსკი.** დამე სოფ. ბერეზოვკაში მოჰკლეს მემამულე ერიხი და იმისი დარაჯი. მძიმედ დასჭრეს მოურავი.

**ალექსანდროვსკი.** რუსის სანაოსნო საზოგადოების გამგის თანაშემწის ზაიცევის სახლში ყუმბარა შეაგდეს. საწოლ ოთახის მორთულობა განადგურდა. კაცთაგან არავინ არ დაშავებულა.

**რიგა.** ვენდენის მაზრაში მოჰკლეს ურიადნიკი სავიცკი და დასჭრეს სტრაჟნიკი.

**ლოძი.** ბაბიაცში მძიმედ სასჭრეს ერთი მუშა.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატაში ყალბ ღვინის კეთების შესახებ მოლაპარაკების დროს ფინანსთა მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, სთქვა, რომ საჭიროა მეღვინეთა შეერთება ღვინის წარმოების მოსაწესრიგებლად და საშუალო ხარისხის ღვინის დასაყენებლად, რათა ამით შესძლონ ბრძოლა ღვინის ფალსიფიკაციასთან.

რედაქტორ-გამომცემელი
**ივ. ი. მჭედლიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი

მატარებლების მიმოსვლა
(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ტფილისიდან მიდის

**ბაქოს**: 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს**: 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3წ.).

**ბორჯომს**: 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ერევნსა და ყარსს:** 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.).

ტფილისში მოდის.

**ბაქოდან**: 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ.; (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.).

**ბათუმიდან**: 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2 საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.) 3); სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

**ბორჯომიდან**: 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.); 2). საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან**: 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.).

# განცხადებანი

პირველ აპრილიდან ტფილისში გაიხსნა
ფეხსაცმელების სახელოსნო
„იმედი“
მიხეილის ქ., № 55, სახ. სლივიცკისა.
სახელოსნოში მზადდება: შევროვია, ხრომისა და სხვა ძვირფას ტყავეულობის ფეხსაცმელები ქალებისა და ვაჟებისათვის. აგრეთვე მზადდება წუღები, მესტები, სხვა და სხვა შავი საქონელი და ზაფხულისათვის საუკეთესო პარუსინების სხვა და სხვა ფერის ფეხსაცმელები. მსურველთ ყველა ზემოხსენებული საქონელი ხელმისაწვდენ ფასებში დაეთმობათ. სახელოსნო ყველა საქმეებს ასრულებს პირიანად და სუფთად. (უ)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.
საჭიროა
თანამშრომელნი ორისა
ვე სქესისა
საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.
პირველი კავკას. ამხანაგობა
მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.
ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—20)

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი**. ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ
კეფირი
ო. კორონისა
კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძამეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.
ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს
ლაქტობაცილინის რძე,
მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.
5 აპრილიდან მზადდება
კუმისი
მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ.
ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.
(50—ხალ.—20) პატივ. ო. კორონა.

ტფილისის კბილის საექიმო
სკოლა
ლ. შტრეიხერისა
(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).
თხოვნების მიღება **ორისავე სქესისაგან დაიწყო**. სწავლის კურსი $2^1/_2$ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის გათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ბუხ.—9)

საგაბაშვილო-თხინვალის საავარაკოში საბურთალოს ახლოს ვერაზედ
იყიდება მიწები
25, 40, 60 და 80 კაპ. თითო ოთხკუთხი საჟენი ერთი წლის გადახდის ვადით ნაწილ-ნაწილად. მიწები კიდევაც დაყოფილია ნაჭრებად და ბეის შემოტანისათანავე ჩაბარდება მყიდველს თავის ხვედრი მამული. მსურველთ შეუძლიანთ მოვმართონ შემდეგის ადრესით: სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურთა სახლი № 153 დ. მაჭავარიანს და მ. გელოვანს 9—2 საათამდე და 5—7 ს. (15—92—12)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქ. ნავასარდიანისა
(დაარსებულია 1880 წ.)
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.
ექიმები:
**ბ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
**გ. მ. ჩიქოვანი**: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ფ. ი. ზაზანაშოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.
**მ. გ. ბაღდასარიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**გ. ი. გეგეჭკორი**: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ა. პ. გარაპეტიანცი**: 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ა. ი. შჩერბინინა**: $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**გ. ი. გურგენოვი**; 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.
რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**
(150—ხალ.—84)

**ქართველ** ახალგაზდა მწერალთა, მთარგმნელთა, წიგნების გამომცემელთა და მესტამბეთა საყურადღებოდ. ვკისრულობ ხელთ-ნაწერების შესწორებას, კორექტურას და გამოცემათა ხელ-მძღვანელობას, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.
**ადრესი**: ტფილისი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტოროშელიძისა, № 12. **პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათიდან 10 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე**
(30—უ.—29) ია ეკალაძე-ცინცაძე.

ყოველ დღიური გაზეთი
„Кавказскій Рабочій“
და ყოველკვირეული ჟურნალი
„Кавказ. Профессіональной Вестникъ“
რადგან გაზეთ „Кавк. Рабочій“-ს გამოცემა, რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო, ეხლავე არა ხერხდება, გამოვა ყოველკვირეული ჟურნალი „Кавк. Проф. Вѣстникъ“-ი. ჟურნალს აზრადა აქვს ხელი შეუწყოს მუშათა პროფესიონალურ მოძრაობას. საოცარი განვითარება მუშათა პროფ. მოძრაობისა როგორც რუსეთში, ისე კავკასიაში იქცევს ყველას ყურადღებას. ჩვენი ჟურნალის მიზანია, შეძლებისადაგვარად დახმარება გაუწიოს ამ მოძრაობას. აღნიშნოს პროფ. მოძრაობის ფორმები დასავლეთ ევროპაში და აგრეთვე გამოარკვიოს ის გზა, რომელსაც ეს მოძრაობა რუსეთში დაადგება.
რედაქცია დროებით მოთავსებულია: ტფილისის, ველიამინოვის ქ., № 7.
გაზეთი ღირს წელიწადში 3 მ. 51 კ., მუშებისთვის 3 მან. ცალკე ნომერი 7 კაპ., გამყიდავებს 5 კაპ.
რედ.-გამომცემელი **ივ. ნ. თამამშევი.**
(3—უ.—2)



ფეხსაცმელი
პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.
რანტიანი: პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.
**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.**
რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ
ნარდათ შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს
სავაჭრო სახლი
„ლეოპოლდ ნეიმეიერ“
ტელეფონი № 346, **ტფილისში**, ერევნის მოედანი,
**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**
ტყავის საქონელი რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—29)